

„თვითმმართველობის უკეთესი წამადით ხელისუფლების წარმომადგენლის საქმიანობისა. სადა უნდა დასრულდეს, იგი ყველგან სერიოზულ... ყოველი სახელმწიფო, რომელსაც წინაშე ედგა იგი ზედმეტ დამსჯელად, წარსულ-წარსულად არის დაყოფილი, რომ მიიღოს და აკრძალოს ავადმყოფი თვის.“

# ხობის მოამბე

№10 (7105) 13 ოქტომბერი,  
შაბათი, 2018 წელი.  
შპს 0,70 ლარი.

## ხობის მუნიციპალიტეტის ბაჭყალითი ორგანო

### ხეთაში საბავშვო ბაღი გაიხსნა



სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ალექსანდრე მოწერელია**, გუბერნატორის პირველი მოადგილე **ირაკლი ჯიქია**, პარლამენტის დეპუტატი **ირაკლი (დაჩი) ბერაია**, ხობის მუნიციპალიტეტის მერი **გონა ქაჯაია** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ხობის

მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში საბავშვო ბაღის გახსნას დაესწრნენ. ბაღის რეაბილიტაციისათვის ძირითადი სამუშაოები მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსდა. მოეწყო წყალმომარაგების, ელექტროგაყვანილობის, კანალიზაციის, კონდიციონერებისა და

ვენტილაციის სისტემები, ასევე შენობის ინტერიერ-ექსტერიერი და ეზო. შენობა 150 ად-საზრდელზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. საბავშვო ბაღში ჩატარებული სამუშაოს ღირებულებამ 425000 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ასევე დამონტაჟდა მზის ენერჯიზე მომუშავე კოლექტორები, რაც არასამთავრობო ორგანიზაციამ „მწვანე მომავალმა“, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყო.



### ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის

ნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის 59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე



ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განიხილეს განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც შპს „მაგთიკომს“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაეცა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 615 ბოძი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით. სხდომაზე ასევე განხილულ იქნა დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუ-

განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“, რეგლამენტში ცვლილება ძირითადად შეეხება პეტიციასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკში შეტანილიქნა შესაბამისი ცვლილება. საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირებს. დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

### ხობში ტენდერული პარკის მშენებლობა დაიწყო



ქალაქ ხობში, ცენტრალური პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყო. პარკის მშენებლობა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის (ირაკლი) დაჩი ბერაიას ინიციატივით ხორციელდება. მშენებლობის დაწყების ცერემონიალს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი (ირაკლი) დაჩი ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერი გონა ქაჯაია, მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ.

პროექტის ავტორია „ხობი 2005“, სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯორჯიან სთლუნი“ ახორციელებს. პროექტის შესაბამისად ხორციელდება:  
-ბეტონის ფილების მოწყობა.  
-ველობილიკის მოწყობა.  
-საფეხმავლო ზოლის მოწყობა.  
-ბეტონის ანაკრები ბორღირების მოწყობა.  
-მწვანე კორდის მოწყობა.  
-ლაბირინთის მოწყობა.  
-საბავშვო, სატრენაჟორო და

საკალათურთო მოედნების მოწყობა.  
-საბავშვო მოედნების მოწყობა.  
-საკარჯიშო ტრენაჟორების მოედნის მოწყობა.  
-საკალათურთო მოედნის მოწყობა.  
-ჭადრაკის დაფის მოწყობა.  
-ჭადრაკის მოედნის მიმდებარედ სკამების მოწყობა.  
-დეკორატიული სკამების მოწყობა.  
-ველოსადგომების მოწყობა.  
-ქ. ხობის გერბის მოწყობა.  
-საჩრდილობელის მოწყობა.  
-შადრეკანის მოწყობა.  
-სასმელი წყლის სოკოს მოწყობა.  
-დეკორატიული განათების მოწყობა.  
სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულება 1 მლნ. ლარია. სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

**ინფორმაციები**  
**№66 ხობის**  
**საარჩევნო**  
**ოლქიდან**  
 5-10 გვ.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## უცნაური ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა 2019 წელს დაიწყება



სობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში მალალტექნოლოგიური ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა 2019 წელს დაიწყება.

პროექტზე კომპანია PHASIS OIL-ი მუშაობს.

უკვე ცნობილია, რომ ყულევის ქარხნის მშენებლობის პროცესში გარემოსდაცვითი კუთხით იზოთერმინგის თანამედროვე ტექნოლოგია დაინერგება, რასაც მსოფლიოში აღიარებული ქიმიური კონცერნი DuPont-ი უზრუნველყოფს. ეს ტექნოლოგია რამდენიმე წლის წინ, სპეციალურად ნავთობგადამამუშავებელი

ქარხნებისთვის შეიმუშავეს და პირველად აშშ-ში დანერგეს. საწარმოო პროცესში ნედლი ნავთობი სრულად, 100%-ით გადაამუშავდება, წარმოებას მყარი ნარჩენები არ ექნება და საბოლოოდ, ეკოლოგიურად სუფთა, „ვერო 5“-ის სტანდარტის ბენზინისა და დიზელის საწვავს გამოიმუშავებს.

ქარხნის მშენებლობა სამ წელს გაგრძელდება და მის ფარგლებში მუდმივად 400-მდე ადამიანი დასაქმდება.

საინვესტიციო პირობის თანახმად, ქარხანაში დასაქმებულთა 70% ადგილობრივი მოსახლეობა იქნება.

დასაქმებულთა დიდი ნაწილი გადამზადებას მმართველი კომპანია CEPSA-ს ქარხნებში გაივლის.

ქარხნის მშენებლობისა და ამოქმედების ეტაპზე, პროექტს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსი ექნება. 5 წლის შემდეგ, როდესაც ქარხანა სრული სიმძლავრით ამოქმედდება, საგადასახადო შეღავათები მოიხსნება და წინასწარი გათვლებით, სახელმწიფო ბიუჯეტი, ყოველწლიურად, დაახლოებით 40-50 მილიონ დოლარს მიიღებს.

## გუბერნატორი სოფლად თემთა განვითარების საუბნოს პროექტებს გაეცნო

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ, გუბერნატორის მოადგილე კობა ქანთარია, სობის მუნიციპალიტეტის ხამისკურსა და შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლად, თემთა განვითარების სააგენტოს „ოფისებში მზის ენერჯიაზე მომუშავე კონდინციონერები, წყლის გამათბობელი, ენერგოდამუშავებისა და ბოსტნეულის საშრობები და სხვა ტექნოლოგიური პროდუქტები დაათვალიერეს.



მზის ენერჯიაზე მომუშავე ტექნიკა, პროექტის ფარგლებში 1000-ზე მეტმა მოქალაქემ დაამონტაჟა საცხოვრებელ და საოფისე ფართებში. გუბერნატორმა ხამისკურსი დაფინანსების მცირე საწარმოც დაათვალიერა.

„სოფლად თემთა განვითარების სააგენტო“ (RCDA) 1997 წელს მცირე ფერმერების ჯგუფის, ფერმერთა საკრედიტო კავშირების, კოოპერატივების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფუძნდა. რომელსაც როსტომ გამისონია წარმატებით ხელმძღვანელობს. ორგანიზაციის აქტივობებში სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტები არიან ჩართულნი.

## მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გაეცნო



ნომიკურ მდგომარეობას.

სობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ფულად დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამით 2018 წელს, 13 ბენეფიციარს გაეწია 31500 ლარის დახმარება.

მუნიციპალიტეტის მერი გონა ქაჯაია, „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიის“ თავმჯდომარის მოადგილე შოლინა კანკიასთან ერთად ბიის, ჭალადიდის, შაველეს და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების განცხადების საფუძველზე, ადგილზე გაეცნო მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

## შუა ხორგაში ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სობის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჭალადიდი-ხორგა-სობის საავტომობილო გზის მე-5 კილომეტრზე, ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.



ხიდის მშენებლობის პროცესს საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, სობის მუნიციპალიტეტის მერი გონა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე, ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის სახელმწიფოებრივი ღირებულებაც 598 765 ლარია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საკვეთს დაუკვეთა „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ახორციელებს.

ახალი ხიდის სიგრძე 113 მეტრი, ხოლო სიგანე 8 მეტრი იქნება. სამუშაოზე დასაქმებულია 18 ადამიანი.

ხიდი, მეოცე საუკუნის 50-იან წლებში აშენდა, რომლის გარკვეული ნაწილი 1993 წელს აფეთქების შედეგად დაზიანდა. ობიექტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხიდი ავარიულ მდგომარეობაში იყო და საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას.

## გურიფულში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



სობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პირველ გურიფულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

გზის მშენებლობის პროცესს საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, სობის მუნიციპალიტეტის მერი გონა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

პროექტის შესაბამისად:

850 მეტრ მანძილზე დაიგება ბეტონის საფარი მოეწყობა მილხიდები და მოსაცდელი.

სამუშაოს სახელმწიფოებრივი ღირებულება 160 ათასი ლარია ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## პირველკლასელებს სახელმწიფოსგან საჩუქრად ნეტ-ბუკები გადაეცათ



17 სექტემბერს, სობის მუნიციპალიტეტის სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში 322 პირველკლასელი ჩაირიცხა. საჯარო სკოლების 297 პირველკლასელს სახელმწიფოსგან საჩუქრად ნეტ-

ბუკები გადაეცა, გაუმჯობესებული ტექნიკური მახასიათებლებითა და პროგრამებით.

მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიულოცეს.

## აქტიუზის მართვის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა



პროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებას, ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების პორტფელის მომზადებაში დახმარებას.

მუნიციპალური შესაძლებლობების განვითარების პროექტი, „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქ-

სობის მუნიციპალიტეტის მერიის სააკტო დარბაზში აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო პროექტების შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგი გაიმართა, რომელსაც სობის, სენაკის, მარტვილის და აბაშის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტურის განვითარების მეორე პროექტის“ (srmidp) ნაწილია, რომელიც მსოფლიო ბანკის და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება. პროექტი 2017 წლის აპრილში დაიწყო და 2019 წლის მარტამდე გაგრძელდება.

## საფუძვლიანი მუხნაობის

## სახითხეზე ტრენინგი გაიმართა



კრის დაავადებების პრევენციის, მკურნალობის მეთოდების, მოვლა-პატრონობის და ნატურალური თაფლის წარმოების წესის შესახებ ისაუბრა.

ლონისძიება ვეროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტის - „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველო-

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში სამრეწველო საფუტკრე მეურნეობის მოწყობის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა. „დასავლეთ საქართველოს მეფუტკრეთა ალიანსის“ თავმჯდომარემ, ედუარდ მელიამ ადგილობრივი ფერმერებთან ფუტ-

ში“ - მხარდაჭერით გაიმართა, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს.

ტრენინგს სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდა.

## „გახდი პროფესიონალი, უზრუნველყავი შენი მომავალი“



ძვირფასო მეგობრებო, გვსურს გახდეთ ჩვენი წარმატების თანაზიარნი და გამცნობთ, რომ მიმდინარე წლის 7 სექტემბერს, სსიპ საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ფაზისი“, წარმატებით გაიარა ავტორიზაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიმართულებით და მოიპოვა უფლება განახორციელოს ახალი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდუ-

„ფაზისი“ პერსონალს, სტუდენტებს, კოლეჯის პარტნიორებსა და ყველა გულშემატკივარს ამ წარმატებას. [fbhxbt`cfcehdtkb`ghjatchf`afpbcbic](https://fbhxbt`cfcehdtkb`ghjatchf`afpbcbic)

საზოგადოებრივ კოლეჯ „ფაზისი“ სობის (ნოჯიხევის) განყოფილებაში ფუნქციონირებს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

ელექტრობა-III საფეხური  
თმის მომსახურება- III საფეხური

რეგისტრაციის ვადა: 3-19 ოქტომბერი

რეგისტრაცია წარმოებს - სობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, საზოგადოებრივ კოლეჯ „ფაზისი“ და ონლაინ - <https://vet.emis.ge/#/>



ლური) შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საფინანსო სერვისები, სალონისე საქმე, შედუღება, თმისა და სილამაზის მომსახურება, სასტუმრო მომსახურება. (ინფორმაცია არსებული და დამატებული პროგრამების შესახებ იხილეთ ვებ. გვერდზე [phazisi.edu.ge](https://phazisi.edu.ge))

ამასთან, კოლეჯმა წარმატებით გაიარა ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია, სობის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნოჯიხევის განყოფილების (ფილიალი) ნაწილში და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ლოკაციაზე მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“, თავისი მაღალკვალიფიციური პერსონალით, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მაღალტექნოლოგიური მატერიალური ბაზით დგას და მუდამ იქნება მოწოდების სიმალეზე თქვენს სამსახურში. ჩვენი გუნდი მზადაა მიიღოს ახალი გამოწვევები და კვლავ შემოგთავაზებთ დასაქმებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სერვისებს სხვადასხვა მიმართულებებით.

ჩვენი სლოგანია-„გახდი პროფესიონალი- უზრუნველყავი შენი მომავალი“. კულოცავთ საზოგადოებრივი კოლეჯის



რეგისტრაციისთვის საჭიროა - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირება შეუძლია ნებისმიერ პირს (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს), რომელსაც აქვს ზოგადი საბაზო განათლების (9 კლასი) დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამებზე რეგისტრაციის ასაკი შეზღუდული არ არის.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

მისამართი: სობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული

საკონტაქტო პირი: ფერიდე გოგია, ტელეფონი 593 313537







ოფიციალური ბვერდი

6 ხიზი, ქუჩა №24-ის მე-2 ხიზი, ქუჩა №24-ის მე-3 ხიზი, ოქროს საწმისი. ჭიხუ მ.მაჭავაძის რაიონის ქ. 3.

№30 ნოჯინების საარჩევნო უბანი

საზღვრები: ნოჯინების თემი: ხენი, დასახლება. ცხაკაიას ქუჩა, წერეთლის ქუჩა, წერეთლის ქუჩის 1-ლი ხიზი, ტაბიძის ქუჩა, ტაბიძის ქუჩის 1-ლი ხიზი, ბარათაშვილის ქუჩა, ც. დადიანის ქუჩა, ც. დადიანის ქუჩის 1-ლი ხიზი, ც. დადიანის ქუჩის მე-2 ხიზი, წმ. გიორგის ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩის 1-ლი ხიზი, წმ. გიორგის ქუჩის მე-2 ხიზი, პკ 12-ის შენობაში, პროფტექნიკუმი, ჩაის ფაბრიკის ბ/ბაღის შენობაში განთავსებული დეკანილები.

№31 შავლელის საარჩევნო უბანი

საზღვრები: სოფ. შავლელი: მშვიდობის ქუჩა, მშვიდობის ქუჩის 1-ლი ხიზი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა, წმინდა გიორგის ქუჩა, ე. ნინოშვილის ქუჩა, ვ. გორგასალის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, ც. დადიანის ქუჩა, ტბელი აბუსერიძის ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩის 1-ლი ხიზი, ნ. დუმბაძის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, ი. ჯავახიშვილის ქუჩა, გ. ტაბიძის ქუჩა, გ. ტაბიძის ქუჩის 1-ლი ხიზი, ი. გოგებაშვილის ქუჩა, მე-მედ აბაშიძის ქუჩა, დ. აღმაშენებლის ქუჩა, აჭარის ქუჩა, შ. რუსთაველის ქუჩა, მე-გობრობის ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩის 1-ლი შესახვევი, კ. გამსახურდიას ქუჩა, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩის 1-ლი ხიზი, ა. წერეთლის ქუჩის მე-2 ხიზი, სამეგრელოს ქუჩა, მეურნეობაში განთავსებული დეკანილები.

ლის ქუჩა, გ. ტაბიძის ქუჩა, გ. ტაბიძის ქუჩის 1-ლი ხიზი, ი. გოგებაშვილის ქუჩა, მე-მედ აბაშიძის ქუჩა, დ. აღმაშენებლის ქუჩა, აჭარის ქუჩა, შ. რუსთაველის ქუჩა, მე-გობრობის ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩის 1-ლი შესახვევი, კ. გამსახურდიას ქუჩა, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩის 1-ლი ხიზი, ა. წერეთლის ქუჩის მე-2 ხიზი, სამეგრელოს ქუჩა, მეურნეობაში განთავსებული დეკანილები.

№32 ჭალადიდის საარჩევნო უბანი

საზღვრები: ჭალადიდის თემი: საბაჟო, საღვამიწავო, საჭოჭუო. კოკაიას ქუჩა 1-153, კოკაიას ქუჩის 1-ლი ხიზი, კოკაიას ქუჩის მე-2 ხიზი, კოკაიას ქუჩის მე-3 ხიზი, კოკაიას ქუჩის მე-4 ხიზი, ვაგზლის ქუჩა, ლენინის ქუჩა, ლენინის ქუჩის 1-ლი ხიზი, ლენინის ქუჩის მე-2 ხიზი, ლენინის ქუჩის მე-3 ხიზი, ვაგარინის ქუჩა, დადიანის ქუჩა, საბჭოს ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა № 1-115 და 2-24.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია №66 სობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება №18/2018

ქ. სობი 2018 წლის 28 სექტემბერი

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 03.02.2012 წლის №04/2012 დადგენილების, №66 სობის საოლქო საარჩევნო კომისიის 28.08.2018 წლის 103/2018, 11.09.2018 წლის 104/2018, 22.09.2018 წლის 108/2018 განკარგულებების და №66 სობის საარჩევნო ოლქის 32-ვე საუბნო საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 სექტემბრის №01/2018; 02/2018; 03/2018; განკარგუ-

ლების საფუძველზე ვადგენ:

მუხლი 1. ცნობილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის 66 სობის საარჩევნო ოლქის 32-ვე საუბნო საარჩევნო კომისიის პერსონალური შემადგენლობა დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

დათუნა ჯობავა, კომისიის თავმჯდომარე.

უბნის ნომერი სხელი, გზური, თანამდებობა, დაბნიხნაში.

№1 ქ.სობის საუბნო საარჩევნო კომისია

- რობერტი გვასალია-კომისიის თავმჯდომარე (ოლქი).
ლუიზა ბასილია-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ოლქი)
თამარ პერტია-კომისიის მდივანი (ოლქი)
ლია დარასელია-კომისიის წევრი (ოლქი)
მაყვალა კილასონია-კომისიის წევრი (ოლქი)
ნუნუ მარშანია-კომისიის წევრი (ოლქი)
აბესალომ ხვიჩია-კომისიის წევრი 3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
თენგიზი კაკულია-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
მაია არაჩემია-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
ლალი შურდულია-კომისიის წევრი (3/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
მაია მიქიაშვილი-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ლალი შურდულია-კომისიის წევრი (3/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
მაია არაჩემია-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მზია ბანილაგა-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მზია ბანილაგა-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მაია ბერაია-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ოლქი)
მაყვალა გოგოლი-კომისიის მდივანი (ოლქი)
ია კაკულია-კომისიის წევ-

- რი (ოლქი)
თამარი ოყუჯავა-კომისიის წევრი (ოლქი)
დიმიტრი ხარბელია-კომისიის წევრი (ოლქი)
ეკა ალანია-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ხატია სვანიძე-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ბექა ჩიტაია-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ბროლისა ჭითაშვილი-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ხათუნა ხორავა-სერგია-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
მერაბი ახალაია-კომისიის წევრი (3/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
ლიანა ლავგილაგა-კომისიის წევრი (3/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
მურმან ბაგრატი-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მურმან ბაგრატი-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მურმან ბაგრატი-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მაია ბერაია-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ოლქი)
მაყვალა გოგოლი-კომისიის მდივანი (ოლქი)
ია კაკულია-კომისიის წევ-

- რი (ოლქი)
თამარი ოყუჯავა-კომისიის წევრი (ოლქი)
დიმიტრი ხარბელია-კომისიის წევრი (ოლქი)
ეკა ალანია-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ხატია სვანიძე-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ბექა ჩიტაია-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ბროლისა ჭითაშვილი-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
ხათუნა ხორავა-სერგია-კომისიის წევრი (3/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
მერაბი ახალაია-კომისიის წევრი (3/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
ლიანა ლავგილაგა-კომისიის წევრი (3/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
მურმან ბაგრატი-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მურმან ბაგრატი-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მურმან ბაგრატი-კომისიის წევრი (3/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
მაია ბერაია-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ოლქი)
მაყვალა გოგოლი-კომისიის მდივანი (ოლქი)
ია კაკულია-კომისიის წევ-

№66 სობის საოლქო საარჩევნო კომისია უბნის მისამართები 2018 წელი

Table with 5 columns: №, უბნის დასახლება, სობის ნომერატი, უბნის განთავსების ადგილი, შერჩენა











# სპორტი

## „ევროპის სპორტის კვირეული“

ხობის მუნიციპალიტეტში გაიმართა ევროპის სპორტის დღეები. 23 სექტემბერს კვირეული კულტურის სასახლის წინ ფლემშობით და ახალგაზრდა მონაწილეთა ჟრიაშულით გაიხსნა. შეჯიბრების აქტიურ მონაწილეებს სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა გონა ქაჯაიამ და წარმატებები უსურვა მათ.

კვირეულის ფარგლებში აქტივობები გაიმართა მკლავჭიდაობაში, ბადმიტონში, ქართულ ჭიდაობაში, ჭადრაკში, შაშში, ფეხბურთში, კრივში. შეჯიბრებები ჩატარდა ხობის, ხეთის, ჭალადიდის, ქვემო ქვალონისა და საჯიჯაოს სპორტულ ბაზებზე. კვირეულის დღეებს დაემთხვა და საინტერესოდ წარმართა მაგიდის ჩოგბურთის პირველობა და ჟურნალისტ გოგი ბუკიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ნარდში.



### მაგიდის ჩოგბურთი

კულტურის სასახლის ფოიეში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში,

საინტერესოდ და სახალისოდ წარმართა. გამოვლინდნენ პრიზორები და მუნიციპალიტეტის ჩემპიონები.

მესამე ადგილი დაიკავა გიორგი გოგენიამ, მეორე

### ნარდი

25-27 სექტემბერს კულტურის სახლის ფოიეში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში მიძღვნილი ჟურნალისტ გოგი ბუკიას ხსოვნისადმი. ტურნირის გახსნის ცერემონიაზე შეჯიბრების მონაწილეებმა, გულშემატკივრებმა და ორგანიზატორებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გოგი ბუკიას ხსოვნას.

შეჯიბრებაში 64 მონარდე იღებდა მონაწილეობას. სამდღიანი დაძაბული თამაშების შემდეგ გამოვლინდნენ პრიზორები და გოგი ბუკიას სახელობის თასის გამარჯვებული.

მესამე ადგილი დაიკავა მერაბ ხარბედიამ (ხობი), მეორე ადგილი დაიკავა ნიკა გვასალიამ (ხობი), პირველი ადგილი დაიკავა და საერთაშორისო ტურნირის საგზური ღირსეულად დაისაკუთრა წინა წლების ჩემპიონმა მალხაზ იოსავამ.

გამარჯვებულებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სიგელები და პრიზები, ასევე გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონმა ნანა გვასალიამ, ვეტერანი მონარდის, აწვარდაცვლილი რომან გვასალიას ქალიშვილმა დააწესა პრიზი და ფულადი

ჯილდო, რომელიც გადაეცა ნიკა გვასალიას.

წარმატებები ვუსურვოთ საერთაშორისო ტურნირზე მუნიციპალიტეტის ჩემპიონს მალხაზ იოსავას.

შეჯიბრება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კულტურისა და სპორტის სამსახურის და ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათ-

ციები და პიროვნებები. ასევე მაგიდის ჩოგბურთის მუნიციპალური პირველობის გამარჯვებულნი და გოგი ბუკიას სახელობის თასის პრიზორები და ჩემპიონი.

პრიზორები და ჩემპიონები, ასევე კვირეულის აქტიური მონაწილეები დააჯილდოვა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა გონა ქაჯაიამ. მერის მოადგილემ ბატონმა მახარე ჩოკორაიამ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქ-



შეჯიბრებაში ნებისმიერ პიროვნებას ე.ი. ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობის მიღება. შეჯიბრებაში 32 მოყვარული მაგიდის ჩოგბურთელი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც კენჭისყრით დაწვევილდნენ. შეჯიბრება მეტად

ადგილი-ლუკა საჯაიამ. შეჯიბრების ღირსეული გამარჯვებული გახდა და მუნიციპალიტეტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გიორგი ქორთუამ.

სამივე პრიზორი დაჯილდოვდა შესაბამისი ხარისხის სიგელითა და თასით.



ლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მიერ.

30 სექტემბერს, კვირეულის დასკვნით დღეს, კულტურის სასახლის წინ გაიმართა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა და ნორჩმა მომღერლებმა.

შემდეგ გაიმართა დაჯილდოება, დაჯილდოვდნენ კვირეულის ფარგლებში აქტიურად ჩართული ორგანიზა-

მეთა განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ნანა ბუკიამ, ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონმა ნანა გვასალიამ, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორმა ბატონმა ბეჟან ბერაიამ.

ლევან ლემონჯაბა.



### ხობის მუნიციპალიტეტის გეგმვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია: მერი ლავგილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა- ჯულიეტა ლატარია. გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრში. ტელ: 0 (414) 22-21-31; 599-50-40-57; 577 21-41-44.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru. დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20. გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.